წელიწადი მესამე | ფასი 7 კაპ. | სამშაბათი, 14 მარტი, 1917 წ.

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—ერთს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ. [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 58 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 58

# საქართველოს თავისუფალი ეკლესია

გაზეთი
„საქართველო"
ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:
მთელის წლით—15 მ., 1/2 წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.
წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გადახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).
კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.
1 მარტიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქართვ." ეღირება 12 მ.—50 კ.
ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.
რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო".

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მტკიცედ შეჰკრან კავშირი პროვინციაში—როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

პარტიის მთავარი კომიტეტი.

## მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის. შემოწირულება მიიღება „საქართველოს" რედაქციის კანტორაში.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი საორგანიზაციო კომიტეტი მოთავსებულია ახალ ქართულ განკის შენობაში, ლორის-მელიქოვის ქუჩა. ვისაც საორგანიზაციო საქმეები აქვს, პირდაპირ იქ უნდა მიმართოს

დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოთი—5—9-მდე. შემოწირულებას მიიღებენ როგორც აქ, ისე „საქართველოს" რედაქციაშიაც.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის სამეურნეო-სასურსათო ბიურო

აცხადებს, რომ ჯერ-ჯერობით მის განკარგულებაშია 400 კაცი, რომელნიც ნებით არიან მიეშველონ სოფლებს, ე. ი. აასრულონ ყველა სამუშაონი მინდვრად და ბოსტნებში, ტეხნიკურად გადაამუშაონ ხილი და ბოსტნეულობა. ვისაცა სჭირიათ მუშები და მათვის ბინაც ექნებათ, სთხოვს მიმართონ „საქართველოს" რედაქციას ან საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტს სათავად-აზნაურო ბანკით ახალს შენობაში (ლორის-მელიქოვის ქ.). მუშებს ხელმძღვანელობას გაუწევენ სპეციალისტი აგრონომები.

ვთხოვთ ახალგაზრდობას, ვისაც სურს მიეშველოს სოფელს, ჩაეწეროს ამ სამუშაო ორგანიზაციაში.

## საქართველოს თავისუფალი ეკლესია

კვირას, 12 მარტს, მცხეთის ათთორმეტთა მოციქულთა საკათალიკოსო ტაძარში მოხდა უდიდესი აქტი ჩვენის საეკლესიო ცხოვრებისა. ქართველ მღვდელმთავრებმა, სამღვდელოთა კრებულთ და აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქართველოსქართველობამ თავიანთის წარმომადგენლების პირით გამოაცხადეს საყოველთაოდ, რომ **მიერიდან საქართველოს ეკლესია განაგრძობს თვისს ავტოკეფალურს ცხოვრებას,** რომლის სვებედს, წინააღმდეგ მსოფლიო კრებათა დადგენილებისა, ასის წლის განმავლობაში განაგებდა რუსეთის თვითპყრობელობა. საქართველოს ეკლესიის დროებით გამგედ ერთხმად არჩეულ იქმნა გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ლეონიდე. არჩეულ იქმნა აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტი სამღვდელოთა და ერისკაცთაგან. ამიერითგანვე უქმდება საქართველოს ეგზარხოსის თანამდებობა. ყველა საქმეები საეგზარხოსო გადადის აღმასრულებელ კომიტეტის ხელში. აქვე შედგენილ იქმნა შესაფერი ოქმი, რომლის შინაარსი ეუწყება რუსეთის დროებითს მთავრობას. ამ ოქმს ჩვენის გაზეთის ხვალინდელს ნომერში დავბეჭდავთ. კრებამ დეპეშით შეატყობინა ეს ამბავი რუსეთის დროებითს მთავრობას და თან მიულოცა ძველ რეჟიმისაგან განთავისუფლება რუსეთისა.

## ქართველი ერის სუვერენული უფლებები, თუ 1783 წლის ტრაქტატი?

არც ერთს ომს, მტრის შემოსევას, თუ რომელსამე სხვა სახელმწიფოებრივ აქტს არ გამოუწვევია საქართველოს ცხოვრებაში ისეთი საფუძვლიანი ცვლილებები, როგორც 1783 წლის ტრაქტატად ცნობილმა ქაღალდის ნაფლეთმა გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ქართველ საზოგადოებას ამ დიად პოლიტიკურ აქტისთვის ჯეროვანი ყურადღება არასოდეს არ მიუქცევია და თუ დღეს იბადება მისდამი ერთგვარი ინტერესი, ეს ეხლა, როდესაც ამ ხელშეკრულობას თითქმის ყოველგვარი იურიდიული ძალა და პრაქტიკული მნიშვნელობა დაკარგული აქვს.

1783 წლის ტრაქტატით ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის იმპერატორის მფარველობას და უზენაესობას თვით ერთმორწმუნეობისა და რუსეთის სახელმწიფოს შეძლებისდაგვარად სამსახურის აღთქმას აძლევს. (არტიკული 1). თავის მხრით რუსეთის იმპერატრიცა საქართველოს მეფეს ასეთს მფარველობას ჰპირდება თავისა და თვისი შთამომავლობის სახელით და აღუთქვამს, რომ დაცულ იქმნება საქართველოს დღევანდელი საზღვრები და აგრეთვე ისეთი სამფლობელოებიც, რომელნიც შემდგომ იქმნებიან შემოერთებულნი. ამასთანავე, სეპარატიული არტიკულით საქართველოს მეფეს ჰპირდებოდნენ, რომ ყოველგვარი ზომები იქნებოდა მიღებული იმ მიწების დასაბრუნებლად, რომელნიც წინათ საქართველოს ეკუთვნოდა. ტრაქტატის ძალით საქართველოს სამეფო ტახტი მუდამ მეფე ერეკლესა და მისი მემკვიდრეების ხელში უნდა ყოფილიყო, შინაურ მართვა-გამგეობასა, სამართალსა და ხარჯთ-აკრეფაში საქართველოს მეფეები რუსეთიდან სრულიად დამოუკიდებელნი უნდა დარჩენილიყვნენ (არტ-6) და სხ.) 1783 წ. ტრაქტატში რაიმე ცვლილებების შეტანა შესაძლებლად იქმნა აღიარებული მხოლოდ ორივე მხრის თანხმობით.

ეს ხელშეკრულობა რუსეთის მთავრობამ პირველს წლებშივე დაარღვია. რუსეთთან შეკავშირებისთვის საქართველოს ყველა მეზობლები აუხედრდა. რუსეთის სამხედრო დახმარების მოიმედე მეფე მათთან მეგობრულ განწყობილების აღდგენას არ სცდილობდა და ამის შედეგი ის იყო, რომ 1795 წ. აღა-მაჰმედ ხანმა საქართველოს დედა ქალაქი დაიკავა და ერთიანად გაანადგურა. რუსეთის მთავრობა ამითაც არ დაკმაყოფილდა და 18 იანვარს 1801 წ. საქართველოს სრული ინკორპორაცია მოახდინა. ჩვენს ქვეყანაზე გავრცელებულ იქმნა სავსებით და ყველს სფეროში რუსეთის სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი წესები და კანონები. ბაგრატიონთა დინასტიას ტახტი ჩამოერთვა და სახელმწიფოს მმართველობა რუსის მოხელეებს გადაეცა.

საერთაშორისო ხელშეკრულობათა თვისებას შეადგენს, რომ როდესაც ერთი მხარე ხელშეკრულობის თუნდაც ერთ მუხლს არღვევს, ის უმნიშვნელოდ და არა სავალდებულოდ ხდება მეორე მხარისთვის. 1801 წლის აქტის შემდგომ 1783 წლის ტრაქტატს ყოველგვარი იურიდიული ძალა დაეკარგა და ამ დღიდან საქართველო თავისუფლდებოდა იმ ვალდებულებისაგან, რომელნიც 1783 წ. ტრაქტატში იყო მოხსენებული და რომელნიც მის სუვერენულ უფლებებს ზღუდავდნენ. მაგრამ ტახტის მემკვიდრეების ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. ქართველმა ხალხმაც ვერ გაუწია შესაფერისი ანგარიში მომხდარ ცვლილებებს და ამის შემდგომ, საუკუნეზე მეტია საქართველოში რომანოვების დინასტია ბატონობს, თუმცა ამ ბატონობას არავითარი ისეთი საფუძველი არ მოეპოვებოდა, რომელიც საზოგადოდ ცნობილია—ომის უფლება, ხელშეკრულება, ხალხის ან თუნდაც რომელიმე მისი ნაწილის, ანუ წოდების სურვილი.

ამის შემდგომ საქართველოს რუსეთთან უფლებრივად არაფერი არ აკავშირებდა, ის სრულიად სუვერენული და თავისუფალი იყო და ფაქტიურად კი რუსეთის იმპერიის განუყოფელი ნაწილი და მხოლოდ ადმინისტრატიული ერთეული რჩებოდა. ქართველმა ერმა ეს მოვლენა ღირსეულად ვერ დააფასა. მან თითონაც ვერ შეიგნო, რომ ის იურიდიულად თავისუფალი და დამოუკიდებელია და მხოლოდ მუხანათობით და ძალმომრეობით არის შებორკილი. ასეთს შეგნებას პირველს ხანებში, შესაძლოა არავითარი ნაყოფი არ გამოეღო, მაგრამ შემდგომისთვის, მაგალითად ეხლანდელი მომენტისთვის, სავსებით გარკვეულსა და საფუძვლიან პოლიტიკურ პლატფორმას მოგვცემდა. სხვებს, ვისაც მეტი ეროვნული ძალა და სულიერი სიმტკიცე შესწევთ, ასე როდი ემართებათ. პოლონეთის დამოუკიდებლობის მოსპობა ომისა და მახვილის უფლებით მოხდა. ომის უფლებას კი ჯერ საპატიო ადგილი უჭირავს ქვეყნებისა და ხალხთა ბედის გადაჭრის საქმეში. პოლონელები კი არამც თუ არ შეურიგდენ თავისუფლების დაკარგვას, არამედ თავის ხვედრს გარდამავალად სთვლიდნენ და და მომავლის ანგარიშებს მხოლოდ სრულს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე ამყარებდნენ. ფინეთი არასოდეს არ შეადგენდა ცალკე სახელმწიფოს, მით უმეტეს, რუსეთის მფარველობის დროს. ფინელთ კი მთელი იურიდიული ლიტერატურა შეჰქმნეს შესახებ ფინეთის სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობისა და მათი პუბლიცისტები ერთსულოვნად ამტკიცებენ, რომ ფინეთი რუსეთის ავტონომიური ნაწილი, ან ვასსალური ერთეული კი არ არის, არამედ სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ასეთს მტკიცებებს, შესაძლოა, ძლიერ სუსტი მეცნიერული საფუძვლები ჰქონდეს, მაგრამ მას ეროვნული თვითგამორკვევისა და სიმტკიცისთვის რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამას დღეს ყველა ვხედავთ. რუსეთის განახლებულმა მთავრობამაც სახელმწიფოს მმართველობის პირველ დღეებშივე კიდევ უფრო გააფართოვა ისედაც ვრცელი ფინეთის ავტონომიური უფლებები და ასევე მოიქცეოდა ის პოლონეთის მიმართ, რომ ის ამ ჟამად მტრის ხელში არ იმყოფებოდეს. რაც შეეხება საქართველოს, რომელსაც იურიდიულად ავტონომიური უფლებები კი არა და სრული თავისუფლება აქვს, ფაქტიურად კი იმპერიის მხოლოდ ადმინისტრატიულ ერთეულს წარმოადგენს, იმის შესახებ ჯერ არა ისმის რა, გარდა ზოგად დაპირებებისა. რასაკვირველია, რუსეთის ახალ მთავრობას მთელი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა აქვს გასაწევი და ამიტომ მრავალ საჭირბოროტო საკითხს ის ჯერჯერობით ვერც კი შეეხება მაგრამ საქართველოს საკითხის გადადებას კიდევ სხვა მიზეზი აქვს—ეს საკითხი ქართველ ერს აქამომდე არც კი წამოუყენებია ჯეროვანის ღირსებით და სიმტკიცით.

როგორია ამ ჟამად საქართველოს პოლიტიკური სახე და 1783 წ. ხელშეკრულობის იურიდიული ძალა? როგორც უკვე მოვიხსენეთ, 1783 წლის ტრაქტატმა დაჰკარგა საქართველოსთვის სავალდებულო ძალა მას შემდგომ, რაც ის რუსეთმა რამოდენიმეჯერ დაარღვია პირველსავე ათხუთმეტიოდე წლის განმავლობაში. მაშინდელ საქართველოს ძალა არ შესწევდა, რომ ეს ხელშეკრულობა გაბათილებულად გამოეცხადებინა და რუსეთისთვის გადაცემული სუვერენული უფლებები დაებრუნებინა, მაგრამ jus publicum-ს—საზოგადო ხასიათის ნორმებს სხვა ბუნება აქვს, ვინემ კერძო უფლებებს. ხანგრძლივად უსარგებლობის გამო, შესაძლოა ადამიანმა დაჰკარგოს საკუთრება, ხოლო საერო უფლებებზე დროთა სვლას ასეთი ძალა არ აქვს და ერის უფლებები სრულიადაც არ ისპობა მხოლოდ იმიტომ, რომ თუნდაც მას საუკუნეთა განმავლობაში არ შესწევდეს ძალა მის განსახორციელებლად. მაგრამ 1783 წ. ტრაქტატს ძალა ეხლა მეორე მხრიდანაც დაეკარგა. ეს ხელშეკრულობა დასდვა ქართველ ბაგრატიონთა და რუს რომანოვთა დინასტიის მეთაურებმა, რომელნიც იმ დროს ამისთვის შესაფერის სუვერენულის უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი. ამ ჟამად ორივე ეს დინასტია ჩამოშორებულია სახელმწიფოს მმართველობას. პირველი მეორეს ძალმომრეობამ იმსხვერპლა და მეორე კიდევ რევოლიუციამ. რუსეთის რევოლუციონურ მთავრობისა და თვით რუსეთის ხალხისათვის სრულებით არ არის სავალდებულო ის ხელშეკრულობები, რომელნიც ძველს მთავრობას დაუდვია. ის დარღვეულად გამოაცხადებს მრავალ ასეთს აქტებს და განაახლებს მხოლოდ ისეთებს, რომელნიც მისთვის ხელსაყრელი იქნებიან. საერთაშორისო უფლება ხელშეკრულობის დარღვევისათვის საკმაოდ სთვლის ისეთ გარემოების დადგომას, რომელიც პირობის დადების დროს არ იყო მხედველობაში მიღებული. რასაკვირველია, უწინარესად რევოლუცია შეადგენს ასეთს გარემოებას.

1783 წლის ტრაქტატმა, როგორც ჩვენთვის, ისე რუსეთისთვისაც დაჰკარგა ყოველგვარი უფლებრივი ძალა და მნიშვნელობა. რუსეთის რევოლუციამ ჩამოართვა რომანოვებს სახელმწიფოს სუვერენული უფლებები და გარეთვე ქართველ ერის სახელმწიფოებრივი უფლებებიც, რომელნიც რომანოვების დინასტიას უხეშ ძალმომრეობით ჰქონდა მითვისებული. **იმ წამიდან, რა ჟამს რუსეთის ძველი რეჟიმი დაემხო, საქართველო სრულიად თავისუფალია და მისი უმაღლესი, სუვერენული უფლებები მხოლოდ ქართველ ერს ეკუთვნის.** როგორც რუსეთი, ისე საქართველოც დაუყონებლივ უნდა ჰქმნიდეს წარმომადგენლობითს ორგანოს, რომელიც მომავალში ერის უმაღლესი უფლებათა, მისი სურვილისა და ნების ყოფის გამომხატველი შეიქნება. რუსეთი მოიწვევს დამფუძნებელ კრებას, შეიმუშავებს სახელმწიფოს კონსტიტუციას და შეადგენს აღმასრულებელ მთავრობას. ქართველმა ერმაც უნდა მოიწვიოს თვისი დამფუძნებელი კრება, რომელიც შეადგენს საქართველოს პოლიტიკურ კონსტიტუციას და შეიმუშავებს რუსეთთან დამოკიდებულებების დებულებებს, რომელიც რუსეთის მთავრობამ უნდა მიიღოს. შესაძლოა, ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო მჭიდრო და მტკიცე იქმნეს, ვინემ ამას 1783 წ. ტრაქტატი ჰგულისხმობს, ხოლო ასეთი კონსტიტუციისა და მეგობრულ რუსეთთან დამოკიდებულებისა და პოლიტიკური კავშირის შემუშავება **მხოლოდ და მხოლოდ ქართველ ერის სუვერენულ უფლების კომპეტენციას შეადგენს** და არა რომელსამე პოლიტიკურ ერთეულის, თუ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებისას.

ა. ახათიანი.

## ქართველი მხედრობისათვის

გუშინ საღამოს ახალს კლუბში ქართველი მხედრები შეიკრიბნენ სადღეისო კითხვების განსახილველად. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით რა გადასწყდა ამ კრებაზე, მაგრამ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ისეთი არაფერი გადასწყდებოდა, რაც ქართველი ერის ინტერესებსა და იდეალებს ეწინააღმდეგება.

რას ითხოვს ქართველი ერის ინტერესები? უწინარეს ყოვლისა იმას, რომ მთელი ქართველი მხედრობა ერთსულოვნად და გულწრფელად ახალს წესწყობილებას მიემხროს. ეს წესწყობილება ბევრს სიკეთეს უქადის ჩვენს პატარა სამშობლოს, სამშობლოს იდეა კი დღეს ყველა სხვა მოსაზრებებს უნდა ხელმძღვანელობდეს. ეს ცხადია, ყველა საზოგადოებრივი წოდებისა და პროფესიისათვის, ცხადი უნდა იყოს ქართველ მხედრობისათვისაც.

დროებითი მთავრობის განკარგულებით ყოველ მხედარს, აფიცერი იქნება ის თუ უბრალო ჯარის-კაცი, უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ ბრძოლაში და სურვილისამებრ განსაზღვრულ პარტიაში ჩაეწეროს. ეს დიდი უპირატესობაა და ქართველმა მხედარმა შეგნებულად უნდა ისარგებლოს ამ უპირატესობით. მხედრობა ისეთი საზოგადოებრივის წოდებაა, სადაც ერთსულოვნობასა და დისციპლინას დიდი მნიშვნელობა აქვს. გადაჭარბებული პარტიული ქიშპი და კინკლაობა ძირს გაუთხრის მის ავტორიტეტს და მოსპობს მის გავლენას. ამიტომ სასურველია, რომ პოლიტიკურმა სხვა და სხვაობამ არ გასთიშოს ქართველი მხედრობა. დაე თვითეულმა ქართველმა მხედარმა თავისუფლად აღიაროს თავისი პოლიტიკური მრწამსი, მაგრამ ნუ დაივიწყებს, რომ უწინარეს ყოვლისა ის ქართველი მამულიშვილია და მამულის ინტერესი ყოველი პარტიის ინტერესზე მაღლა სდგას.

გავიხსენოთ ჩვენი ისტორიული ტრადიციები. ძველს საქართველოში ერი და მხედრობა როდი იყო გათიშული. მთელი საქართველო ერის დიდს სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა, ყოველი ჯანსაღი გლეხი, მხედარი და მშვიდობიანი მოქალაქე იყო ერთსა და იმავე დროს. შემცდარია ის პოპულიარული შეხედულება, თითქო ჩვენი თავად-აზნაურობა განკერძოებული, სამხედრო კასტა ყოფილიყოს; გლეხობა კი განკერძოებული, მიწად მომქმედი წოდება. ყოველს ქართველს ერთს ხელში სამუშაო იარაღი ეჭირა და მეორეში მახვილი. ამ მხრივ განსხვავება არ ყოფილა მეფესა და შინაყმასა, ერის კაცსა და სამღვდელო პირს შორის.

რუსის მთავრობა თავდაპირველად შეურიგდა იმ სამხედრო სულსა და წესწყობილებას, რომელიც საქართველოში დახვდა. მაგრამ რამდენიმე განმეორებითი აჯანყების შემდეგ აღმოაჩინა, რომ ძველი მდგომარეობის უცვლელად დატოვება სახიფათო იყო რუსული ხელმწიფების განმტკიცებისთვის. რამდენიმე რადიკალური რეფორმის შემწეობით ძველმა მთავრობამ შესძლო ქართველი ხალხისა და ქართველი მხედრობის გათიშვა. ჯერ ქართული მილიცია დაშალა. შემდეგ მილიციის ადგილი მუდმივმა ლაშქარმა დაიჭირა. შემდეგ კიდევ ქართველი რაზმები დანაწილდა რუსის პოლკებში, დაიქსაქსა და შორეულ ჩრდილოეთის გუბერნიებში დაიგზავნა. ამ ზომებმა ქართველი მხედარი სამშობლო მიწა-წყალსა და ჰავას მოაშორა, სულიერათ შებოჭა და ყაზარმის ოთხ კედელს შუა მოაქცია. არც ერთს ჩვენს საზოგადოებრივს ჯგუფსა თუ წოდებას არ განუცდია ისე მძაფრად გადაგვარების პროცესი, როგორიც ჩვენმა მხედრობამ განიცადა. განსაკუთრებით ქართველ ოფიცრობაში ბევრმა სრულიად დაივიწყა სამშობლოცა და დედაენაც და რუსის იმპერატორის ერთგული მონა გახდა. ქართველმა მგოსანმა მხატვრულად დაგვიხატა ეს ახალი ქართველი მხედარი, რომელიც ოსმალო იანიჩარის მსგავსად მტრის გულს ახარებდა თავისი სიმამაცითა და სიკისკასით.

მაგრამ ყველაფერზე უფრო დამამცირებელი და აღმაშფოთებელი ის იყო, რომ ძველმა მთავრობამ ბოლო დროს იარაღი აჰყარა ქართველ ხალხს. ქართველმა გლეხკაცმა დაჰკარგა თავისი საუკეთესო სამკაული, მეგობარი და გულის მესაიდუმლე, მისი გარეგნობა ღარიბული გახდა.

დღეს ქართველ ერს ახალი ეპოქა მოწოდება შეიარაღებისადმი. ის თვითონვე გრძნობს, რომ ახლად მოპოვებულ თავისუფლებების განსამტკიცებლად შეიარაღება საჭიროა. უფლების დასაცავად კაცობრიობას ჯერ სხვა საშუალება არ მოუგონია გარდა ძალისა, ძალისთვის კი, სხვათა შორის, იარაღია საჭირო. კონტრ-რევოლიუცია და რესტავრაცია შესაძლებელიც არის, მოსალოდნელიც. თუ ოდესმე ძველს ძალებს უკან დაბრუნება ეღირსათ, ყველაზე სასტიკად ქართველს ხალხზე იყრიან ჯავრს. ასეთს მდგომარეობაში უიარაღოდ ყოფნა უდიდესი დანაშაული იქნებოდა. დღეს ისეთი დრო დადგა, როცა მთელი ერი ხელახლა მხედრობად უნდა იქცეს. ეს შესაძლებელიც არის და დიდად სასურველიც. ევროპაში ყველგან ჰქრება ის ზღუდეები, რომელიც მშვიდობიანს ხალხსა და სამხედრო კასტას შორის იყო ამართული. მით უმეტეს ეს ზღუდეები ადვილად გაჰქრება საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ ძლიერია ძველი რაინდობის სული.

ჩვენი უპირველესი ვალდებულება „შეიარაღების" მსგავსი საზოგადოებების შედგენაა. აქ უნდა ისწავლებოდეს არა მარტო თავისუფალი გიმნასტიკა, არამედ სამხედრო ვარჯიშობაც. ამისთვის კი ქართველი ოფიცრების თანხმობა და დახმარებაა საჭირო. სამუშაოთა საზოგადოებებისა და კავშირების ქსელი მთელს საქართველოს უნდა მოედოს. ამ ქსელის გაბმა კი მხედრულად გაწვრთნილმა ხალხმა უნდა იკისროს.

ფიზიკური ვარჯიშობა აღორძინებს ჩვენს დაავადებულს სხეულს. ამასთან ერთად ის ზნეობრივადაც აგვამაღლებს. მეთორმეტე საუკუნეში ქართველი ერის კულტურა დედაკაცური იდეალებისკენ გადაიხარა. ეს დიდი რეგრესი იყო. დღეს ხელახლა უნდა აღვადგინოთ დავიწყებული იდეალები ძლიერი და დამთავრებული ვაჟკაცობისა.

ვ. ღელიანი.

## წმიდა ქალაქში

„სადაცა არს საუნჯე თქვენი, მუნცა იყოს გული თქვენი" (მათე, VI, 21).

რომელი ქალაქია, სადაც ქართველი ერის გულის საუნჯე იმარხება? სადაა ეს გამობრწყინებული იერუსალიმი?

ნუ ვიქმნებით წარმართნი და გონების თვალით გადვიხედოთ და მაშინ ვიხილავთ თვალწარმტაცს საღვთაებრიო პანორამას, სადაც მკლავით-მკლავს გადახვეული არაგვი და მტკვარი მკვირცხლი [illegible] ცად აზიდავენ სვეტიცხოვლის მზიურს სამეფოს.

მცხეთა... სვეტიცხოველი!

რაოდენ რამეს უებნება ქართველის გულს ეს ორი სიტყვა! რა სანახაობას წარმოუდგენს სადღესასწაულო ხილვა დიდებულ ტაძრისა და მის რეგეული გალავნისა, რომელსაც ქართველი ხალხი დაალეწვეს სისხლისმღვრელს ქაოტიურს მდგომარეობას!

მზიური წმიდა სამეფო ვარსკვლავთა ენით გადმოგვცემს ლეგენდებს და სინამდვილის ცხოველ ზღაპრებს, თუ იმ შორეულს წარსულში, აქ, წინაპართა ბანაკში, ღმერთები როგორ ჩამოდიოდნენ სასაუბროდ, როგორ მოჰქონდათ ეს ქალაქი წმიდა ბუდეთა, როგორ მოედო ცეცხლი მწველი ახალ ღვთაებას, როგორ... არა, რომელი პაემანი შეედრება ამ ჩვენს საუნჯეს? რომელი ინდოეთით მოსული მოგვი მოგვითხრობს უკეთესს ლეგენდებს, ვინ მოგვიხილავთ იმაზე უძვირფასეს საფირონსა და მარგალიტსა, რასაც რომ გულდინით კელაპტრის გუმად გამოცურებული სვეტიცხოველი?

მცხეთა... სვეტიცხოველი!

ჩადით მის მღვიმეებში, ინახულეთ აფთელოენი წმიდანთა, ღმერთ-კაცე მეფე ერეკლეებისა და უშვე ლაჟვარდ მის ფონზე წარმოიდგენთ თვით სამოთხის ალტარებასა! ვის და არმაზის ნანგრევებს დიდი ხანია რაც რომ დაჰყოფს გზა არაგვი. მისი ტალღები ძველ მეომართა ბრძოლის ყიჟინას გადმოგვცემენ. მის ნაპირებზე კბილებდახრჭენილი კოშკთა ნანგრევენი დასცინიან პომპეუსთა ლაშქრობას. არაგვისავე მზიური კისკისი გადმოგვცემსთ თუ აქ, მის მჩქეფარე ტალღებში, როგორ გარდაიცვალა ნათლისღება მირიან მეფეს, ან მაყვლოვანი ცეცხლის ალში ვით ვერ დაწვეს ღვთისმოსინა, ან და ვაზის ჯვარს ვით გაუნათებია საუკუნეთა ქარტეხილებით ჩაბნელებული ქართლოსიანთ ტანჯული კერა, ან სიდონიას გულით აღმოცენილი ზეთის ხილი ვით გამოიღებდა მირონს, ღვთაების სურნელს, ცადაკმეულს მშვენიერებას, ვით კურთხევას კურთხევისასა? არა, ვინ შეხედავს ამ ქალაქის სალაროს პატიოსან ქვებს? ვის ექნება ქალაქი ესდენ სოცარი და საუნჯეთარი, რომლის თვითეულ კენჭში თუ ბუჩქნარის თეთრი ფოთოლი გარდაშლილ მშვენიერებისა და სიწმიდის ფსალმუნი არის!

მრავალმა საუკუნემ დასჭექა ამ წმიდა ქალაქს ელვის რახტით, გეენის ალმა გადაჰრუკა ციურ ჯიჯილად ამწვანებული მისი წალკოტი, ას-თავა ვეშაპმა თეთრი ქალწული დაიწყვლია ბნელეთში, ჯაჭვ-ჯავშანი გარს შემოარტყა, მაგრამ როდის იყო, რომ მის გულის კვნესას აჟრიალებინოს ჩვენი ერისთვის თვის საფარველი? როდის იყო, რომ ფერმიხდილობას დაეფარცლოს მის სიკეკლუცე? გვირგვინ მოხდილი, დატყვევებული, შეურაცხყოფილი თვით ბნელეთიდან ცისკრის სახით გვევლინებოდა და ანგელოზთა ნარნარი ხმით ხსნის საიდუმლო ზღაპრებით გვიმრთელებდა დაკოდილს გულსა!

მცხეთა... სვეტი ცხოველი!..

მრავალჯერ მიუმართავს ერს ამ წმიდა ქალაქისთვის. სიხარულის ვარსკვლავნი ჩამოცვენილა ციდან. მირონს სურნელი უქმევია. ცეცხლმოდებულ მაყვლოვანს გაუთბია შეჩერებული მაჯის სისხლი. ზადენს წარმართულ ღვთისმსახურებით მზის მოცეკვე სხივებით და ფრინველთა ფრთებით წარმოუზავნია ტანჯულ ერისთვის ნუგეშინის ვარდნარი ნავი. კურთხევა და მარადისობის საწინდარი,—აი რა ინახება ამ წმიდა ქალაქთა-ქალაქში, აი, რათ უყვარს ქართველ ერსა მისი ქალარა!

მზიური სიცოცხლე ჩვენი გულის საუნჯე ქალაქს!

დ. კასრაძე.

## ქართველ დემოკრატიას!

ამხანაგებო!

დიდ რუსეთთან შედარებით ჩვენ რიცხვითა და სამშობლოს სივრცით ერთს წვეთს წარმოვადგენთ ზღვაში.

მიუხედავათ ამისა ჩვენ ძლიერნი ვართ სულით.

ჩვენი სულის სიძლიერე იმდენათ დიდია, რომ ჩვენისთანა პატარა ერს დიდი რუსეთის დროებით მთავრობაში თვისი წარმომადგენელი ჰყავს— კარლო ჩხეიძე.

ქართველებს სრული უფლება გვაქვს, ვიამაყოთ ამ გარემოებით.

ჩვენს ისტორიაში ოქროს ასოებით უნდა ჩაიწეროს, რომ რუსეთის დროებით მთავრობაში ერთი წევრი ქართველი დემოკრატიის წარმომადგენელი იყო.

ვინ შექმნა ჩვენი სულის სიძლიერე, ვინ გვარგუნა ეს უფლება, ვამაყობდეთ დღეს ჩვენის თავით?

თქვენ, ამხანაგებო!

ქართველმა მშრომელმა ხალხმა, ქართველმა დემოკრატიამ აამაღლა ჩვენი სამშობლო იმდენათ, რომ რიცხვით მცირე ქართველი ერი რუსეთის დროებით მთავრობას ერთ საუკეთესო წევრს აძლევს.

კარლო ჩხეიძის სახით დიდმა რუსეთმა პატარა საქართველო მიიწვია და ეუბნება მას: შენ აუცილებლათ საჭირო ხარ, რომ მე განვახლდე და დემოკრატიული წყობილება მოვიპოვო.

ამხანაგებო!

თქვენ რომ მარტო ამით დაკმაყოფილდეთ, თქვენს მოწოდებას, თქვენს დანიშნულებას, თქვენს მოვალეობას სამშობლოს წინაშე უღალატებთ: თქვენ ვალდებული ხართ, თქვენ ისტორია გიკარნახებთ, თქვენი დიადი საქმე ბოლომდი მიიყვანოთ და თქვენს მშობელ ერს მოუპოვოთ ისეთი წყობილება, ურომლისოთაც მას არ შეუძლია განახლებულ რუსეთში განვითარება.

ეს არის ტერიტორიალური ავტონომია განახლებული რუსეთის მფარველობის ქვეშ.

თქვენ ეს შეგიძლიათ, თქვენ ვალდებული ხართ ეს შეასრულოთ.

მთელი სამშობლო თქვენ შემოგყურებთ, მთელი ჩვენი ისტორია თქვენ მოგჩერებია.

დიდებული ხართ ამხანაგებო, დიდებული დარჩით ბოლომდე.

საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია არ ეწინააღმდეგება ქართველი დემოკრატიის საბოლოო მიზანს, პირიქით ის ხელს შეუწყობს ქართველი დემოკრატიის ზრდა-განვითარებას.

საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია არ ეწინააღმდეგება რუსეთის პროლეტარიატის საბოლოო მიზანს.

მაშ რატომ არ უნდა გაისმას თქვენი პირიდან მედგარი ჰქა:

**გაუმარჯოს საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას!**

უნდა გაისმას და მე მრწამს, რომ გაისმის.

ამას ითხოვს თქვენგან თქვენი დაჩაგრული სამშობლო, ამას გავალებთ თქვენ ჩვენი ისტორია.

თქვენ ამით არაფერს ახალს არ მოსთხოვთ განახლებულ რუსეთს,— თქვენ მოითხოვთ მხოლოდ იმის დაბრუნებას, რაც ძველმა რეჟიმმა წაგვართვა.

განახლებულმა რუსეთმა მოსპო ძველი რეჟიმი, დაიბრუნა და აღადგინა თვისი უფლებანი.

ის ვალდებულია, მან უნდა დაგვიბრუნოს ის უფლებანი — ქართველი ერის უფლებანი, რაც ძველმა რეჟიმმა წაგვართვა და ფეხქვეშ გათელა.

მესმის, თქვენ ამბობთ, ამხანაგებო, საამისო დრო არ არის, დღეს ცალკე ეროვნებათა უფლებაზე ლაპარაკი უადგილოაო.

არც მე გეუბნებით, რომ დროებით მთავრობას მიმართოთ. თქვენ დღევე უნდა შეუდგეთ მზადებას და, როდესაც დამფუძნებელი კრება შესდგება, წარსდგეთ მის წინაშე და მოითხოვოთ ქართველ ერის ფეხქვეშ გათელილ უფლებათა აღდგენა.

ამხანაგებო, თქვენ გახარებსთ თავისუფალი რუსეთი. ნუთუ თქვენს გულს თავისუფალი საქართველო ნაკლებათ გაახარებს?

მაშ იცოდეთ, რანაირადაც უნდა განახლდეს რუსეთი, საქართველო ვერ განახლდება, თუ მან არ დაიბრუნა, არ აღადგინა, რაც მას წაართვეს:

ტერიტორიალური ავტონომია რუსეთის მფარველობის ქვეშ.

ამხანაგებო! თქვენ სისხლსა ღვრიდით რუსეთის განახლებისათვის.

და დღეს, როდესაც რუსეთი განახლდა, ნუ თუ ხმას არ აამაღლებთ თქვენი სამშობლოს ფეხქვეშ გათელილ უფლებათა აღდგენისათვის?

(თ. ღ ც.) ივ. გომართელი.

## დეპეშები

(დ. პ. ს.)

### ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე

**ხარკოვი.** 10 მარტს საღამოს 7 ს. 45 წუთზე დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ თბილისიდან ხარკოვზე გაიარა.

**პეტროგრადი.** 11 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თ-მა ლვოვმა დიდმთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს განუცხადა, უმაღლეს მთავარსარდლობიდან გადაყენებული ბრძანდებითო. მთავარსარდლობა დროებით მიენდო გენერალ ალექსეევს.

**პეტროგრადი.** ოფიციალურ იტყობინებიან, რომ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მთავარ ბანაკში გაემგზავრა. ამავე დროს დროებითმა მთავრობამ შეუთვალა, მთავარსარდლობას ნუ ჩაიბარებთო. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან გაგზავნილი შიკრიკი გზაში ასცდა და გაგზავნილი მიწერილობა ვერ ჩაიბარა. ეხლა დიდ მთავარს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აცნობა: თქვენი მთავარსარდლად დანიშვნა გაბათილებულია, რადგანაც საამისო განკარგულება ნიკოლოზ მეორის გადადგომასთან ერთად მოხდაო.

### მთავარსარდლები

დასავლეთის ასპარეზის მთავარსარდლად დანიშნული გენერალი ლეჩიცკი ეხლა ბუკოვინაში იმყოფება, მის ჩასვლამდე მთავარსარდლის მოვალეობის ასრულება გენერალ გურკოს დაევალა.

### დედოფალი მარიამი

ქვრივი დედოფალი მარიამ თევდორეს ასული კიევში დაბრუნდა.

### მთავრობის აღიარება

შეერთებულმა შტატებმა რუსეთის დროებითი მთავრობა აღიარეს.

### ნიკოლოზ რომანოვი

პეტროგრადის მუშათა საბჭოს და ჯარისკაცთა დეპუტატების სხდომამ მოისმინა აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენება ნაიმპერატორალის თავისუფლების მოსპობაზე. მოხსენებაში ნათქვამია: რადგანაც საჭიროა, რომ ნაიმპერატორალი რუსეთიდან არსად გავიდეს, კომიტეტმა განკარგულება გასცა, ცარსკოე სელოში გაეგზავნოს კომისია ჯარით, რომელიც ცარსკოე სელოს სასახლეს შემოერტყმის. კრებამ მოიწონა აღმასრულებელ კომიტეტის მოქმედება.

### რევოლუციის მსხვერპლთა დაკრძალვა

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ მოიწონა აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილება, რომ რევოლუციის მსხვერპლთა დაკრძალვა მოხდეს სასახლის მოედანზე კი არა, მარსის ველზე. დაკრძალვა მოხდება 15 მარტს.

### მუშათა დეპუტატების საბჭო.

მუშათა დეპუტატებისა და ჯარისკაცების საბჭომ დაადგინა: დროებით მთავრობასთან კავშირის დასაჭერად იყოლიოს კომისია, რომელშიაც აირჩიეს სკობელევი, სტეკლოვი, სუხანოვი და ჩხეიძე.

### ქვრივი დედოფალი

ქვრივი დედოფალი მთავარბანაკიდან ხვთისმშობლის საფარველის მონასტერში გაემგზავრა.

### დროებითი მთავრობისაგან

ოფიციალი. მას მერე, რაც ნიკოლოზ მეორემ და დიდმა მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ ტახტზე ხელი აიღეს, უმაღლესი ძალა-უფლება დროებითს მთავრობაზე გადავიდა. ძველი მთავრობის მართვა-გამგეობის წესი, რომელიც ხალხს აჩაგრავდა, გადაჰქრით უარჰყო დროებითმა მთავრობამ: მან თავის მოვალეობად მიიჩნია სახელმწიფოს ყველა საჭიროებათა განხორციელება. ჩვენ გამსჭვალულნი ვართ უფლებრივ სახელმწიფოს სულით, სადაც ყოველი მოქალაქის უფლებას მტკიცე მოსარჩლეობა გაეწევა და ყოველი მოქალაქე გარდაუვლად ასრულებს თავის მოვალეობას, რადგანაც ომის დროს სახელმწიფოს საძირკველის რყევა სამშობლოს გამოუსწორებელ განსაცდელში ჩააგდებდა. ჩვენ, დროებითი მთავრობა, ვაცხადებთ, ჩვენ ვიკისრებთ ძველი მთავრობის სახელმწიფო ხაზინის ყველა ვალდებულებას, სარგებლის გადახდას, სახელმწიფო ვალის განაღდებას, ხელშეკრულების მიხედვით ანგარიშების გასწორებას, მოსამსახურეთა შენახვას, პენსიებს და სხვა ხარჯების გასტუმრებას როგორც სახაზინო ისე ხელშეკრულებათა თუ სხვა კანონიერის გზით გასასტუმრებელს. ამასთანავე ყველა გარდასახადები რაც ხაზინას ეკუთვნის, გარდა, [illegible], თუ სხვა გარდასახადი უნდა ძველებურად შეჰქონდეთ, ახალ კანონების დამყარებამდე. დროებითი მთავრობა ავალებს ყველა სახელმწიფო დაწესებულებათ, დამზოგველობა გამოიჩინონ ხალხის ფულის ხარჯვაში და ამისთვის ნამდვილი ზედამხედველობა და კონტროლი დააწესონ. ომიანობისა გამო აუარებელ ხარჯისა და სახელმწიფოს დავალიანების გამო აუცილებელი იქმნება ზოგიერთ გარდასახადის მომატება. დროებითი მთავრობა ეცდება გარდასახადი შეღავათით გაწეროს სამართლიან განაწილების მიხედვით. დროებითი მთავრობა მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ საგარეო განსაცდელის ხანაში დღეს უკვე თავისუფალ რუსეთის მოქალაქენი ხალისიანად იკისრებენ კანონით დაკისრებულ მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

ხელს აწერენ: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თ-დი ლვოვი და ყველა მინისტრები.

### როძიანკოს მიმართვა

11 მარტს სათათბიროს წევრთა კრებაზე როძიანკომ დეპუტატებს მოუწოდა, რომ პეტროგრადიდან არ წავიდნენ და შემდეგ დაუმატა, რომ ფრონტიდან დამამშვიდებელი ამბები მოგვდის და ჯარში წესიერება არ დარღვეულაო. დეპუტატებმა სხვა და სხვა მხრის ამბები მოახსენეს და სთქვეს, რომ ყველგან სიმშვიდე და წესიერებააო.

### დადგენილება

დროებითმა მთავრობამ დაადგინა: სააქციონერო კანონდებაში დაუყოვნებლივ შეცვლილ იქმნას ნაციონალურ და სარწმუნოების ხასიათის შემზღუდველი კანონები.

### დაპატიმრება

დააპატიმრეს გენერალი რიმანი, რომელიც 1905 წელს მოსკოვში რევოლუციონურ მოძრაობას აქრობდა.

### ფიცის მიღება

გენ. გურევიჩი სამხედრო მინისტრს ატყობინებს: ვიბორგის გარნიზონმა ახალ მთავრობას ერთგულება შეჰფიცაო. აგრეთვე ყველა ფრონტიდან აუარებელს დეპეშებს და დელეგატებს ჰგზავნიან და ახალ მთავრობას ატყობინებენ, რომ ახალ მთავრობას დავიცავთ ჩვენის იარაღითაო.

## ომის დეპეშები

**მთავარ ბანაკის ცნობა.**

12 მარტი

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**რუმინეთის ასპარეზი.** შდ. სულჩასა და შაბანიეშის შუა, მოინესის დასავლეთით 20 ვერსზე მტერმა იერიში მოიტანა. ჩვენმა ჯარმა ერთი ვერსით აღმოსავლეთისაკენ დაიხია ახალ პოზიციებზე.

**კავკასიის ასპარეზი.** ხანიკინის მიმართულებით 4 მარტს ჩვენმა ჯარმა აიღო ოსმალების მიერ აკლებული და გადაბუგული ქერინდი. ოსმალებმა სოფ. ხარირისაკენ დაიხიეს; ჩვენ ფეხდა-ფეხ მივდევთ.

დვინსკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი და გერმანელების მფრინავები შეიბნენ. ბრძოლის შემდეგ ორივე მფრინავი ნოვო-ალექსანდროვკას აღმოსავლეთით მტრის მხარეს დაიშვა.

### გემების დაღუპვა

**ქრისტიანია.** გერმანელებმა ნორვეგიის 4 გემი დაღუპეს: „კუნკინგე" გლაზგოდან მარსელისაკენ მიმავალი, „ბროდ"-ი კარდიფიდან ჰიბრალტარისაკენ მიმავალი, „პოლუქს"-ი გერდლინესის კონცხიდან 47 ვერსის მანძილზე და „გიდრაგლაზგოდან ლაროშელისაკენ მიმავალი.

**პეტროგრადი.** გერმანელების წყალქვეშამ დაჰღუპა შვეციის გემი „ვიქტორია".

**სოლუნი.** 8 მარტი. გუშინ საღამოთი მოწინააღმდეგემ კონტრ იერიშით აიღო სიმაღლე „1248", მაგრამ ფრანგებმა უკანვე დაიბრუნეს. მოწინააღმდეგის შემდეგი იერიშები მოგერიებულ იქმნა.

**პეტროგრადი.** 12 მარტი ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. მედეიკის რაიონში, პოსტავიდან ჩრდილო დასავლეთით, გერმანელებმა უშედეგოდ შხამიანი ბოლი გამოუშვეს. დანარჩენ ფრონტზე მზვერავთა წვრილ-წვრილი სროლაა.

რუმინეთის ფრონტზე მზვერავნი მოქმედებენ და მცირე სროლაა.

კავკასიის ფრონტზე ხანიკინის მიმართულებით 5 მარტს ჩვენმა ჯარმა სოფ. ხარიტსა და სერმილთან ოსმალები პოზიციებიდან განდევნა. 6 მარტს ბრძოლა გვქონდა ოსმალებთან მაიანდაგასთან. დანარჩენ ფრონტზე მცირე შეტაკება და მზვერავთა მოქმედება გრძელდება.

**რომი,** 12 მარტი. იტალიის ცნობა. ტრენტინოს ფრონტზე ჩვეულებრივად არტილერიის სროლა სწარმოებს. ჩვენმა ზარბაზნებმა დაანგრიეს მოწინააღმდეგის საფარი საკკოს მახლობლად, რევერტოდან დასავლეთით, სადაც შემჩნეულ იქმნა ავსტრიელთა ჯარის მოძრაობა. სუგანოს ველზე მოწინააღმდეგე კვლავ თავს დაგვესხა კაპალდოსთან, მაგრამ უკუქცეულ იქმნა. იულიის ალპების მიდამოებში გუშინ მოწინააღმდეგემ ბრძოლა გააჩაღა გორიციდან აღმოსავლეთით. დაგვიზიანეს სანხდრო, საავადმყოფო მსხვერპლი არ ყოფილა. კარსოსთან კოსტანიევეციდან ჩრდილოეთით მოწინააღმდეგის იერიში მოვიგერიეთ და ტყვეები წამოვიყვანეთ.

### მაკედონია

**სოლუნი.** [illegible] მფრინავმა მტრის [illegible] ჩამოაგდო. მთელ ბრძოლის ხაზზე ზარბაზნებით ბრძოლაა. პრესპსა და პონს შუა მოპირდაპირემ იერიში მოიტანა. საფრანგეთის ჯარმა ხელთ იგდო 11 ტყვიის მფრქვეველი, 2 სანგრის ზარბაზანი, 24 ოფიცერი და 1776 ჯარისკაცი.

## უკანასკნელი ცნობები

პოლიციის დეპარტამენტში აღმოუჩენიათ საიდუმლო ქაღალდები, რომლით აშკარავდება, რომ სათათბიროს წევრისთვის ტარკოვისთვის პოლიციის დეპარტამენტს გადაუცია 132000 მანეთი მემარჯვენე გაზეთის გამოსაცემად.

—

იუსტიციის მინისტრმა დაამზადა ახალი კანონ-პროექტი საგანგებო გამომძიებელ კომისიისა, რომელიც განიხილავს ყოფილ მინისტრების საქმეებს. დაამუშავეს აგრეთვე კანონ-პროექტი, რომელიც არ ზღუდავს ეროვნებებს, წოდების და სარწმუნოების თავისუფლებას.

—

რუსეთში ფინლიანდიიდან 1000 მეტი ჯაშუში შემოსულა. როძიანკოს ზომები მიუღია.

—

გერმანელებმა დაღუპეს ჯავშნოსანი გემი „დარტონი" დაიღუპა 296 კაცი.

—

დააპატიმრეს ქ-ლი რედაქტორი „რუსკოე ზნამია"-სი. ეს გაზეთი შავრაზმელებს რაზმავდა.

—

13 მარტს სინოდის წევრები კოლექტიურ მოხსენებას წარუდგენენ ახალ მთავრობას და განუცხადებენ რომ თანამდებობას სტოვებენ და საჭიროდ სცნობენ კანონიერ საფუძველზე არჩეულ იქმნას სინოდი ყველა რუსეთის იერარხებისაგან.

—

ნიკოლოზ რომანოვმა მორიგ აფიცერს სთხოვა, რომ გარეთ გასეირნება მინდაო. აფიცერმა ნება დართო. 30 წუთი ისეირნა ჩქარის ნაბიჯით, შემდეგ აიღო ნიჩაფი და გზაზე თოვლს წმენდა დაუწყო. ეშველებოდა თ-დი დოლგორუკი.

## დეპეშები

(„საქართ." საკ. კორესპ.)

**ხაშური.** 9 მარტს ხაშურში გაიმართა უდიდესი მიტინგი, მოწვეული საორგანიზაციო კომისიის მიერ მომხდარ დიდ ამბების გამო განუსაზღვრელ აღფრთოვანების გამოსახატავად და მთელის ხაშურის რაიონებისათვის აღმასრულებელ კომიტეტის ასარჩევად. საუცხოვო წესიერება სუფევდა. მიტინგს პირადათ დაესწრო ჯარი. ხალხი ჯარს ალტაცებით შეხვდა. წარმოითქვა სიტყვები. აირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტი. გაიგზავნა მისალოცი დეპეშა ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოებში. ახალ მთავრობას დეპეშით უსურვებენ გამარჯვებას და სახელმწიფო წესწყობილების დემოკრატიზაციას. ელოდებიან დამფუძნებელ კრების მოწვევას, რომელიც გზას გაიკვლევს დემოკრატიულ რესპუბლიკისკენ.

**მიტინგის პრეზიდიუმი.**

**ჰელსინგფორსი,** ფინლიანდიაში რევოლიუცია დამთავრდა. ძველი მთავრობის ნაშთიც კი აღმოფხვრეს. 22 მარტს იხსნება ფინლიანდიის პარლამენტი.

**ჩიქოვნი.**

გილოცავთ სამშობლოს თავისუფლებას. გაუმარჯოს ხალხის მთავრობას.

ჯარის კაცნი 111 ქვეითი პოლკისა 7 როტისა: შალვა მენთეშაშვილი, კიკო ჰუჰულაშვილი, გიორგი ჩითინაშვილი, გიორგი ათანეშვილი, ბესო ზედელაშვილი, დოხა კიკილაშვილი, ვანო კიკილაშვილი, მთხოვარა ჩითინაშვილი, ალავერდ ზედელაშვილი, ფიდო, გიორგი ქოქიაშვილი, თედო გუგუშვილი და გიორგი კრუტაშვილი.

## ახალი ამბავი

◆ კავკასიის კომისარიატში კეტა აბაშიძის მაგიერათ დაინიშნა აკაკი ჩხენკელი, სახელმწიფო სათათბიროს წევრი. მინისტრთა თავმჯდომარე ლვოვი დეპეშით ატყობინებს ქალაქის თავს, რომ თბილისში უკვე გამოემგზავრა ამიერ კავკასიის მართვა-გამგეობის კომიტეტი, რომელშიაც შედის სახელმწიფო სათათბიროს წევრი აკაკი ჩხენკელი.

◆ კომისრის გამომგზავრება. თბილისის ქალაქის აღმასრულებელმა კომი-

ტეტმა ცნობა მიიღო, რომ 11 მარტს პეტროგრადიდან თბილისს გამოემგზავრა დროებითი მთავრობის კომიტეტის წევრი ვ. ა. ხარლამოვი, რომელმაც მართვა-გამგეობის საქმე უნდა მოაწყოს ამიერ-კავკასიაში.

**მასწავლებელთა რეზოლიუცია.** 11 მარტს, საღამოს, მოხდა თბილისის საშუალო და პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა კრება, რომელსაც 2,000 კაცი დაესწრო. თავმჯდომარეობდა გიმნაზიის მასწავლებელი ი. პალმოვი. კრებამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: 1) მოეწყოს თბილისის ყველა მასწავლებელთა კავშირი, რომელსაც ექნება პოლიტიკური და საპროფესიონალო პლატფორმა და მიზნად დაისახავს შექმნას ფართო დემოკრატიული ხასიათის სკოლა და 2) გადაყენებულ იქმნას თანამდებობიდან სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი და ამის შესახებ დეპეშით ეცნობოს სახალხო განათლების მინისტრს ბ-ნ მანუილოვს. ბ-ნმა ვარ. ბურჯანაძემ, თავმჯდომარის ამხანაგმა, წინადადება წარუდგინა კრებას, რომ სანამ ძირითადი ცვლილება მოხდებოდეს სწავლა-აღზრდის საქმეში, მანამდისინ ჩვენი მხრის სკოლებში ნაციონალიზაცია უნდა მოხდეს, რათა ყველა სკოლებში საგნები სამშობლო ენაზე ისწავლებოდეს, ხოლო საშუალო სასწავლებლებში-კი სამშობლო ენა სავალდებულო საგნად იქნეს აღვიარებული. მაგრამ თავმჯდომარემ ეს საკითხი მოხსნა და განაცხადა, რომ სკოლების ნაციონალიზაციის შესახებ შემდეგ იქნება ბჭობა, პროგრამების შემუშავების დროსო. აგრეთვე შემდეგისათვის გადაიდვა საკითხი სამოსწავლო ოლქის ინსპექტორების დათხოვნის შესახებ.

**ქუთაისის პოლიცმეისტერი ლ. მახარაძე დაპატიმრებულია.** მას აღმოსჩენია 100 ტომარა ფქვილი, 60 ტომარა შაქარი და ბანკის ჩეკი 60,000 მანეთისა.

**მოწოდება.** გამოვიდა დაბეჭდილი მოწოდება ხალხისადმი სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის თბილისის კომიტეტისა. კომიტეტი მშრომელ ხალხს ურჩევს შეკავშირდენ და თავიანთი გამორკვეული მოთხოვნილებანი წარადგინონ მთელი რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე. სახელმწიფოს საუკეთესო მართველობის ფორმად კომიტეტს მიაჩნია რესპუბლიკა, ვინაიდან, სხვათა შორის, მაშინ ყოველგვარი საშუალება მოესპობათ რეაქციონერებს იფიქრონ ძველი რეჟიმის აღდგენის შესახებ. მოწოდებაში კომიტეტი ურჩევს ხალხს, რომ გარეშე მტრებთან ბრძოლა რუსეთის სრულს გამარჯვებამდე განაგრძოს, რადგან ვილჰელმმა თუ გაიმარჯვა, ამას რეაქციის გამარჯვებაც მოჰყვებაო.

**ქართველ ქალთა საზოგადოების ჭრა-კერვის სკოლის შენობისთვის** შემოსწირა ასი თუმანი უცნობმა და არ ინება თავის ვინაობის დასახელება. მართველობა ხსენებული საზოგადოებისა უღიდეს მადლობას უძღვნის შემომწირველს.

**ვარდენ ლორთქიფანიძის კონცერტი.** პარასკევს, 17 მარტს, ახალ კლუბის დარბაზში, მომღერალი ვარდენ ლორთქიფანიძე გამართავს ფრიად საყურადღებო კონცერტს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: მუსიკალ. სასწავლ. პროფესორი ბ-ნი ბროჯი, მომღერალი ქალი მარიამ შავერზაშვილისა, პიანოს დამკვრელი გენრიხ სენკევიჩი, მომღერალი პ. ა. ხოლზოვი და როიალზე დამკვრელი კნ. მ. გ. ანდრონიკაშვილისა. დაწვრილებით აფიშებში. ბილეთები იყიდება კლუბის შვეიცართან.

**თათბირი.** 14 მარტს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია შეერთებული კრება თბილისის სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებითა მოსამსახურეებისა. კრებამ უნდა გადასწყვიტოს, რომ საჭიროა მოსამსახურეთათვის შეკავშირება, რათა შეერთებულის ძალ-ღონით პასუხი გასცენ მიმდინარე მოთხოვნილებათ.

**სოფ. ნატახტარის** მცხოვრებნი სჩივიან, რომ იქ მდგარ ჯარისკაცთაგან ბევრნი საშინლად აწუხებენ სოფელს ქურდობითო. იპარვენ შინაურ ფრინველებს, კვერცხებს და სხ. თხოულობენ, რომ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ, ვისგანაც ჯერ არს.

**მცხეთის გარნიზონის უფროსს** არ გამოუცხადებია თავისი ხელქვეითი ჯარისკაცებისათვის სახელმწიფო ცვლილებათა ამბები. წარსულ შაბათს (11 მარტს), საღამოთი, ჯარისკაცებს წინანდელ ჩვეულებისამებრ „ბოჟე ცარია“ უგალობნიათ. როგორც გადმოგვცეს, კნირას, 12 მარტს, გარნიზონის უფროსი უკვე დაუტუსაღებიათ და დუშეთში გაუგზავნიათ.

**თბილისის ხელოსნებს კრება** ჰქონდათ 11 მარტს თავიანთ კლუბში და დაადგინეს: გაორკეცებულის ენერგიით იმუშაონ თავიანთ სახელოსნოებში; ხელი შეუწყონ ახალ წესწყობილების დამყარებას და მოითხოვენ, რომ მათი მხრივ 2 წარმომადგენელი იქმნას მიღებული ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში.

**თბილისის ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა 12 მარტს** ჩაიბარა სასახლე, რომელშიაც წინად სცხოვრობდნენ მეფის ნაცვლები და მთავარმართებლები. კომიტეტმა დაადგინა, რომ სასახლის ერთ ნაწილში დარჩეს საველე სათადარიგო ჰოსპიტალი № 392, ხოლო მეორე ნახევარში მოთავსდეს აღმასრულებელ კომიტეტის ორგანოები.

### დ. ქიათურა

18 ამა თვეს, დღით შაბათს, დ. ქიათურაში დანიშნულია საჩხერის, სვერის და ჩხარის საბლაღოჩინო ოლქების იმ სამღვდელოთა კრება, რომლებიც უახლოვდებიან აღნიშნულ დაბას. კრებას ბლაღოჩინი მღ. იოსებ წერეთელი და გერვასი ბარათაშვილი გააცნობენ იმ ფრიად შესანიშნავ მოვლენას, რომელიც მოხდა, როგორც საზოგადო, აგრეთვე კერძოთ სამღვდელოების ცხოვრებაში.

### ოზურგეთი

10 მარტს დროებით მთავრ. განკარგულებით დააპატიმრეს ნიკო თაყაიშვილი. მეორე დღეს თავისით გამოცხადდა ციხის უფროსთან დიპ. მგელაძე. იმავე დღეს შინდობა და პატიება ითხოვა დეკანოზმა დავ. ღუმბაძემ. ორივე დროებით გაანთავისუფლეს.

### ბორჯომი.

მარტის შვიდს რემერტოვის პარკში ხალხის კრება მოხდა, რომელზედაც არჩეულ იქმნა დროებითი მმართველი კომიტეტი. არჩევნები სახელდახელოდ მოხდა და ამიტომაც კომიტეტში ორიოდე არასასურველი პირიც მოხვდა. ხუთშაბათისათვის დანიშნულია კიდევ მიტინგი.

ხალხმა კომიტეტს დაავალა, რომ მისალოცი დეპეშა გაუგზავნოს დროებით მთავრობის თავმჯდომარეს როძიანკოს. კომიტეტს სხდომები კლუბის დარბაზში ექნება ხოლმე და დაინტერესებულ პირთ ყოველთვის უფლება აქვთ დაესწრონ ამ სხდომებს.

### ხაშური.

საღამო, რომელიც უნდა გამართულიყო ოთხ მარტს, ეხლანდელ ამბების გამო გადაიდო სხვა დროისთვის, საღამოს დღე თავის დროზე გამოცხადებული იქნება გაზეთებში. ბილეთებს ძალა არ ეკარგება.

### სიღნაღი.

შესდგა აღმასრულებელი კომიტეტი და აირჩიეს ქალაქის კომისარებად: კონსტანტინე ტყავაძე, იოსებ ყარალაშვილი და ქალაქის მამასახლისი ამირხანოვი; კომიტეტი უკვე შეუდგა მუშაობას, შესდგა ქალაქის მილიცია და სამაზრო კომიტეტი; სოფლელებმა ჩაფრებს იარაღი აჰყარეს და ორგანიზაციებს აწყობენ.

### თელავი.

ოთხშაბათს 8 მარტს, სამოქალაქო ბაღში (ბულვარში) გაიმართა დიდი სახალხო მიტინგი, რომელიც დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა, მისი მსგავსი არამც თუ არავის არ ენახნა, გაგონებითაც არავის სმენოდა. დილიდგანვე დაიწყო ხალხმა დენა და შუადღის 12 საათზე მთელი ბაღი გაივსო ხალხით. აქაურებს გარდა იყვნენ აგრეთვე ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნიც, ქალნი და კაცნი. მიტინგს დაესწრნენ აგრეთვე აქაურ კაზარმიდან ჯარისკაცნი, პრაპორჩიკები და აფიცრობა. ილაპარაკა 17 კაცმა. ორატორმა: რუსმა, ქართველმა, სომეხმა და ერთმა ქართველმა ქალმაც. ყველა ორატორები ეხებოდნენ დღევანდელ მომენტის სიდიადეს და მოუწოდებდნენ ხალხს, მხარი დაეჭირა ახალ მთავრობისთვის. დასასრულ, დაადგინეს: ახალ მთავრობას მოვთხოვოთ ყველა დაჩაგრულ პატარა ერებს ავტონომია მისცესო. ამას გარდა ხალხსა სთხოვეს, რომ ისევ ამავე ადგილას შეიკრიბნენ ყველანი 12 მარტს, დილის 11 საათზე თელავის და მის მაზრის სახალხო კომიტეტის დასაარსებლათ. მიტინგი გათავდა საღამოს 4 საათზე.

— ქალაქის თავმა, 6 მარტს ქუჩებში გამოაკრა ქართულ-რუსული განცხადება, რითაც ხალხსა სთხოვდა მხარი დაუჭირეთ სახალხო მთავრობას, მშვიდობიანათ იყავით და წესიერება დაიცვითო.

## ეპისკოპოს ლეონიდეს დეპეშა უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის მიმართ

გურია-ოდიშის ეპარქიის ეპისკოპოსმა ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ შემდეგი დეპეშა გაგზავნა პეტროგრადში უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის სახელზე:

გამოუთქმელის სიხარულით და გულწრფელის გულაჩუყებით ვეგებებით მე და სამწყსო ჩემი, როგორც წევრნი დიდის რუსეთისა, ნოეს მტრედის მსგავსად მოსულს სანეტარო ამბავს, ამბავს ძველის რეჟიმის მთავრობის მტვრად ქცევისა, და საყვარელი სამშობლო რუსეთის აყვავებისას. გულსავსებით ვემხრობით თქვენს ბრწყინვალე პიროვნებას, თქვენისა სინოდის ობერ-პროკურორის მაღალ ადგილზე ასვლისა გამო. თქვენ უნდა ახსნათ ბორკილი მონობისა რუსეთის ეკლესიას და იხსნათ თვითმპყრობელი მონარქიზმის სამარცხვინო და განუსაზღვრელი თვითნებობისაგან. უზენაესმა მეუფემ გაკურთხოსთ თქვენ და განამტკიცოს ბრძნული მართველობა თქვენი, რომ შეგაძლებინოსთ გააცუროთ ხომალდი ეკლესიისა, ცხოვრების ტალღათა შორის მოლურავე და შეიყვანოთ იგი მყუდრო ნავსაყუდელში.

ამასთან ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს განუცხადოთ თქვენს უაღმატებულესობას, რომ არავის, რუსეთში არ დაუკარგავს გადაყენებული მთავრობის წყალობით იმდენი, რამდენიც დაჰკარგა ივერიის სამოციქულო ეკლესიამ. რუსეთის სინოდმა ძველი რეჟიმის პროკურორების მადლით მოტრფიალემ, წინაამდეგ საქრისტიანო ეკლესიის კანონებისა, ხელიდან გამოაცალა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური სიცოცხლე და აგებულობა. რუსის ეგზარხოსები, რომელნიც ივერიის ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის ტახტზე, ასრულებდენ მხოლოდ ობერ-პროკურორების ბრძანებას, ესენი კი ავალებდენ უპირველესად ყოვლისა მოეფინათ საქართველოს მრევლთა შორის რუსული სული, რუსული ენა და ზნე-ჩვეულებანი; გარდაექმნათ ჩვენი სასწავლებლები რუსულად. ევალებოდათ მათ ულმობელათ გაეთელნათ ფეხ-ქვეშ მწყემსთა და სამწყსოთა ეროვნული ინტერესები; ამიტომ ივერიის ეკლესიამ მიიღო სახე იმ კაცისა, რომელიც მიდიოდა იერუსალიმიდან იერიქონს და გზაში ავაზაკებმა გაძარცვეს, დასჭრეს და შარა გზაზე სულთმობრძავი გააგდეს. ამის გამო სულ ადვილი წარმოსადგენია ის განუსაზღვრელი აღტაცება საქართველოს დატანჯულ ეკლესიის შვილთა, რომ რუსეთის სახელმწიფოს ბედი ხელთ იპყრეს რუსეთის საუკეთესო შვილებმა, რომელნიც თავისუფლებისა, კანონისა და წინმსვლელობისათვის თავგანწირულ და უანგარო მებრძოლებად არიან ცნობილნი. ამის გამო ჩვენ გვაფრთოვანებს შეურყეველი რწმენა, რომ ახალი მთავრობა თავისუფალ რუსეთისა არ დააყოვნებს და დაუბრუნებს საქართველოს ეკლესიის იერარქიულ წყობილების საუკეთესო შვილებს, რომელნიც განძევებულ არიან სამშობლოდან მშობლიური ეკლესიის ინტერესების ღირსეულად დაცვისთვის; გაანთავისუფლებს ივერიის ეკლესიას ასის წლის უკანონო ტყვეობისგან და მიანიჭებს მას შეძლებას ხელახლად ავტოკეფალურის ცხოვრებით იცხოვროს რუსეთის ეკლესიასთან ძმურის კავშირითა.

## ქართულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კრება

პარასკევს, 10 მარტს, ქართულ ეროვნულ—დემოკრატიული პარტიის მთავარმა კომიტეტმა ახალ კლუბის თეატრში გამართა კრება. კრებას აურაცხელი ხალხი მიაწყდა. კლუბის დარბაზი, კორიდორები და შესავალი ხალხით იყო სავსე. უადგილობის გამო ბევრი უკანვე დაბრუნდა. კრება გახსნა სპირიდონ კედიამ და დამსწრე საზოგადოებას შემდეგი სიტყვით მიმართა:

ბატონებო!

საქართველოს სახე! ათასმა წლებმა ჩამოქნეს საქართველოს სახე. ზღვა სისხლი დაღვრილა და უთვალავი მსხვერპლი შეწირვია ამ სახის აგებას. წინაპართა ხმალი და მკერდი ყოფილა მისი დამცველი, წინაპართა გულ-გონება—მისი ამომვსები შინაარსით. მედგრად გადაუტანია ათასი წლების ქარიშხალს ზოგჯერ მიწად განრთხმული, კვლავ ამდგარა ღონე-მოკრეფილი და თვისი სახელოვანი არსებობა განუგრძვია. ბევრი დიდი სახელმწიფო და ბევრი სახელოვანი ხალხი დაამარცხა არსებობისათვის ბრძოლამ და აღიგვა კიდეც დედა-მიწის პირიდან. საქართველო კი ჟამს გადაურჩა, ჟამი დაამარცხა. საქართველოს სახე—დაუმარცხებლობის ნიღაბია.

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულამდე მოვიდა საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი. საქართველოს, ბრძოლით დაქანცულმა, სხეულმა მოსვენება მოითხოვა. ქვეყნის მოამაგე მეფემ, პატარა კახმა, თავის სიცოცხლის გადამხარზე გადასწყვიტა ეს მოსვენება ქვეყნისთვის მიენიჭებია. რუსეთა დედოფალთან, ეკატერინესთან, დადო ხელშეკრულობა და საქართველოსა და რუსეთ შორის კავშირი ჩამოვარდა.

მეფე მოსვენებით და გულნათხი წავიდა საფლავში; ეგონა, ხელშეკრულობა დაცული იქნებოდა და საქართველო თავისუფლათ დარჩებოდა რუსეთის მფარველობის ქვეშ მეფე მოტყუვდა. იგი გარდაიცვალა და საქართველოც მოკვდა მეორე, მესამე წელიწადს. რუსეთმა გასტეხა ფიცი, დაარღვია ხელშეკრულება და საქართველოს უფლება ახადა. და ამ წლიდან, 1801 წლიდან, დაიწყო საქართველოს დანგრევა და გაჩანაგება. ირღვეოდა, რაც ათასწლობით ერს შეექმნა. საქართველომ ბრძოლის წილ, მოსვენება მოისურვა. მან უღალატა თავის ძველისძველ ჩვეულებას და დაისაჯა კიდევაც ამ ღალატისათვის. მოსპეს ყოველივე მთავრობა, სამართალი, ჯარი, ფული; ქვეყანას საზღვრები შემოარღვიეს და დაიტაცეს მისი ქონება, მისი მიწა-წყალი. განიდევნა მისი ენა, დაანგრიეს მისი ეკლესია, აწამეს საქართველო სულიერად, აწამეს იგი ხორციელად, რისხვისა იყო გასული საუკუნე. საქართველოს სახე, ათას წლებით შექმნილი, იშლებოდა!

გასულ თებერვლის მიწურულში დაიმხო რეჟიმი, რომელიც ასე მტარვალურად მოექცა საქართველოს, განდევნეს დინასტია, რომე[...] აც ფიცი და ხელშეკრულობა დაარ[...] ა და საქართველო სისხლისგან და[...]ა.

დიდი აქტია ეს აქტი. რ[...] ო უფლებრივ სახელმწიფოდ გადაი[...] ამის შედეგები მეტად საგრძნობია და კეთილის მყოფელი. ამ წუთის გარემოებიდან რომ მაგალითი ავიღოთ, უნდა მოგახსენოთ, რომ მომხდარ რევოლიუციის წყალობაა, აქ რომ თავისუფლად შევკრებილვართ და სიმართლის თქმას რომ არ გვიშლიან. ერისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში ეს უბრალო მოვლენა არ გახლავთ. თავისუფლება სიტყვისა, წერისა, კრებისა და სინიდისისა,—აი რა მოაქვს რევოლიუციას. საყოველთაო, ფარული და სხვა საარჩევნო უფლება, აი რა აღიარა რევოლიუციამ. ხალხს გზა ეხსნება, მას საშუალება ეძლევა თავის ქვეყნის პოლიტიკაზე პირდაპირი გავლენა მოიპოვოს. მისი ხმა, დღემდის უყურადღებოდ დატოვებული, ძალით და უფლებით შეიმოსა. მოისპო წოდებრიობა, საუკუნოებით განმტკიცებული. არ იქნებიან დაბადებით უფლებითა და უპირატესობით მოსილნი, არ იქნებიან დაბადებით დამცირებულნი და უფლება-ახდილნი. კერძო თაოსნობას ქართველი მიეცა. პირადი ღირსება, პირადი კაცად-კაცობა—აი ამიერიდან ახალი საზომი პიროვნების მნიშვნელობისა და გავლენისა. მოქალაქობრივი წარმატების აუცილებელი პირობები დამყარდა. ყოველივე ეს მეტად საგულისხმიეროა. არსად და არასოდეს უსისხლოდ არ მომხდარა ასეთი ცვლილება. უფლება მოსილს თავის ნებით თავისი უპირატესობა არ დაუყრია და უფლება-აყრილს თავისი უფლება ხვეწნით ვერსად აღუდგენია.

ჩვენზედაც, ქართველებზედაც ვრცელდება ამ რევოლიუციის ყოველი შედეგი და სიკეთე. ჩვენი სალამი, ჩვენი აღტაცებული სალამი ამ რევოლიუციას. დღეგრძელობა რუსეთის ახალ რეჟიმს. მაგრამ... და აი სწორედ აქ იწყება განსხვავება ჩვენსა და რუსებს შორის. აქ იწყება განსხვავება საქართველოსა და რუსეთს შორის. ეს განსხვავება უნდა შევიგნოთ. თავისუფალ რუსეთისთვის ეს მოქალაქობრივი ნორმები საკმარისია, რომ ფრთა გაშალოს, რაც რომ ფარული ძალა-შემოქმედება შესწევს, უკლებლივ გამოსთქვას.

საქართველოსთვის ეს არა კმარა. მოქალაქობრივი უფლებრიობა თავისუფალ ერშია შესაძლებელი. თუ ერს თვისი საკუთარი მთავრობა არ ჰყავს, თუ ერის სამართალი მის შვილებისაგან არ იწერება, თუ ერის მართვა-გამგებლობა გადამთიელის ხელშია და არა მისი შვილებისა, ფუჭია ყოველგვარი მოქალაქობრივი უფლება. ერის სული შებორკილია, მისი არსებობა შებოჭილი, მისი ძალა-შემოქმედება შეხუთული. ერი, როგორც ერი მონაა მაშინ; ხოლო მონობა და შემოქმედება, მონობა და წარმატება შეუძლებელია. მაშ დღევანდელი რევოლიუცია ამ მოქალაქობრივ ნორმების მოპოვებასა და განმტკიცებას არ გასცილდა, ქართველი ერი როგორც ერი კვლავ მონად დარჩება. ამიტომაც, რომ თანაბრად კეთილის მყოფელი იყოს, დღევანდელმა რევოლიუციამ უწინარეს ყოვლისა საქართველოს ეროვნული თავისუფლება უნდა მოუტანოს. რევოლიუცია მხოლოდ მაშინ იქნება სრული. თავისუფალ საქართველოში ქართველი ხალხი საკუთრივ მოაწყობს და განამტკიცებს მართვა-გამგეობის დემოკრატიულ რეჟიმს. საქართველოს განახლება მოქალაქობრივ-უფლებრივ ნორმების გამოცხადებით ვერ დაიწყება, არამედ მისი ეროვნული თავისუფლების აღდგენით. ეს უნდა მოხდეს ეხლა ან არასოდეს (მხურვალე ტაში). თავი და თავი ესაა. ამას გვავალებს ჩვენი თავისა და ჩვენი მდგომარეობის შეგნება.

უდიდესი მომენტი დადგა საქართველოს ისტორიაში. მონობის კირთების დალეწვა მხოლოდ ეხლა შეიძლება. მხოლოდ ეხლა შეიძლება აღმობრწყინდეს თავისუფლების ჩასული მზე (მხურვალე ტაში). რაც უფრო მაღალია ამ მომენტის დიდებულება, მით უფრო განუზომელია ჩვენი პასუხისმგებლობა. ხოლო ქართველები გავცუდლუტდით. მონობის ასმა წელიწადმა უდარდელი და უზრუნველი გაგვხადა. ზრუნვა ქვეყნის საქმეებზე რომ ჩამოგვერთვა და ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავენი რომ წაგვერთვა, ყველაფერზე გული ავიყარეთ. სხვა გვმართავდა და ჩვენ მისი მონური მიმყოლი ვიყავით. ქართველს კაცს დაეკარგა შეგნება მოქმედებისა, თავის ქვეყნის მართვა-გამგეობისა და კანონმდებლობისათვის. მას დაეკარგა გრძნობა პასუხისმგებლობისა ქვეყნის წინაშე ამგვარ მოქმედებასთან დაკავშირებულ ნაბიჯებისათვის. ქართველ კაცის ფსიხიკიდან აღმოიშლა ეროვნულ სახელმწიფოებრივი შემოქმედება! უსუსლონი შევიქმენით და საშინელი იყო ბედი ქვეყნისა. მაგრამ გადავსცდით საბედისწერო ზღურბლს. დღეს სხვებთან ერთად ეროვნული იდეის გამარჯვებას ვესწრობით. თანდათან ღრმად შევდივართ ღრმა განცდაში, მარცხდება წლის მონობის ფსიხიკა. ჩვენში იღვიძებენ ის ამაყნი წინაპარნი, რომელთაც გამოსჭედეს თავისუფალი საქართველო და რომელნიც მტლად ედებოდნენ მას. ეს აღორძინების ხასიათი, თავისუფლების მოპოების სული ყოველს ქართველში იღვიძებს. და როგორც წარსულში მთელი, საქართველო, კაცი, ქალი, თავადი, აზნაური, გლეხი და სამღვდელოება ერთდებოდა და საერთო ძალღონით იცავდა სამშობლოს და მის თავისუფლებას მსხვერპლად ეწირებოდა, დღესაც მთელი ქართველობა უნდა შემოკრბეს ამ იდეის გარშემო. ავმაღლდეთ და დავივიწყოთ ყოველივე საპირადო, საპარტიო, საწოდებრიო, ვეზიაროთ სამშობლოს უზენაესობას. ნუღარ იქნება ნურც მუშა, ნურც გლეხი, ნურც ბურჟუა, ნურც თავად-აზნაური, ნურც სამღვდელოება. იყოს მხოლოდ ქართველი და საქართველო და ერთად გამოვსჭედოთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა, მისი დახსნა ტყვეობისაგან, მისი თავისუფლება (ხანგრძლივი და მხურვალე ტაშის ცემა)...

ბატონებო! ამ რამოდენიმე წლის წინად ასეთ მოწოდებას სტვენით ეგებებოდენ! დღეს კი ტაშითა და აღტაცებით სისალმებიან! ვინ სთქვა—წინ არ მიდისო ჩვენი ეროვნული შეგნება? ვიმუშაოთ, გავაძლიეროთ ეს შეგნება. მოვსდოთ იგი კიდით კიდე მთელს საქართველოს. ამ შეგნებით დაირაზმოს და გამაგრდეს ჩვენი დაუმარცხებელი სამშობლო (მხურვალე და ხანგრძლივი ტაში).

ბატონებო! საერთოდ აღტაცებული ხალხი ვართ. დღევანდელი ამბები ამ ჩვენს ხასიათს კიდევ უფრო აღიზიანებს. მაგრამ თავდაჭერა და გონების მოკრება ისე არასოდეს არ დაგვჭირებია, როგორც დღეს. დიდი მომენტების გამოყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც გრძნობა, გონება და ხასიათი შეწყობილად მუშაობენ. ერთის სიჭარბემ შეიძლება ყველაფერი წაახდინოს. ჩვენი ძალების ნამდვილი წარმოდგენა ვიქონიოთ, გადაუჭარბებლად წარმოვიდგინოთ ჩვენი როლი რაც ხდება იმ მოვლენებში და ამისდა შესაფერისად ვამოქმედოთ. ცხრაას ხუთის შეცდომები არ განვიმეოროთ. პატარა ერი ვართ, გავუფრთხილდეთ ყოველი ქართველის სიცოცხლეს. გავარჩიოთ ჩვენი და სხვისი, ჩვენი და სხვასთან საერთოც. იმდენი სისხლი არა გვაქვს, რომ ჩვენთვისაც ვღვაროთ და სხვასთან რომ საერთო გვაქვს იმისთვისაც. ყველაფერს შესაფერისად მიუწყოთ. რევოლიუცია პეტროგრადმა მოახდინა. ჩვენ მხოლოდ ამბავი მოგვივიდა და მის შედეგებით ვსარგებლობთ. ჩვენ კიდეში ვართ და თავს საქმის მოთავეებს ... წარმოვიდგენთ. პეტროგრადიდან გადასწყვეტს რევოლიუციის ბედს. მდგომარეობა რთულია. შესაძლებელია, კიდევ უფრო გართულდეს. მოსალოდნელია კონტრ-რევოლიუციაც. ვინ იცის? ახალ მთავრობას ხელი შეუწყოთ, წესიერების დაცვით და მწყობრი სამეურნეო მუშაობით. ყვირილი და მიტინგები ადვილი საქმეა. ძნელია დადებითი და ამაღორძინებელი მუშაობა. მთელი ჩვენი ენერგია ამას უნდა მოვახმაროთ. მე არ მინდა აქედან აღგზნებით და გრძნობაშეკიდებული წაბრძანდეთ. თუ ეს მოხდა, ჩემი მიზანი დამარცხებული იქმნება და ჩემი აქ გამოსვლა უნაყოფო. მე მინდა ყოველი დამსწრე აქედან წავიდეს იმ სიდინჯით, იმ დაფიქრებით და გრძნობა-შეკავებით, რომელიც ყოველ დიდ მოვლენისა და დიდ მომენტის ნამდვილ განცდას გამოსახავს. გვქონდეს სამშობლოს თავისუფლების რწმენის სიმხურვალე, გვქონდეს გონების სიფრთხილე და გრძნობის ზომიერება. ვიყვნეთ საღი სულით, საღი სხეულით და საქართველოს თავისუფლებაც ჩვენთან არს! გაუმარჯოს მას! (მხურვალედ ხანგრძლივი ტაში).

სიტყვის დროს ფოიეში და კიბეებზე მდგომთა მხრივ ბევრმა პროტესტი განაცხადა: არა გვესმის-რა და კათედრა შუა დარბაზში დადგითო, ზოგნი ითხოულობდნენ, რომ კრება ბაღში გადაეტანოთ, რათა ყველას შეძლება მიეცეს სიტყვების მოსმენისაო. მაგრამ ორატორმა, რომელსაც დრო გამოშვებით ტაშის გრიალით აჯილდოებდნენ, სცენაზე დაამთავრა ლაპარაკი და შემდეგ გადაიტანეს კათედრა ფოიეში გასასვლელ კარებთან.

კათედრაზე ავიდა ბ-ნი გ. გვაზავა, რომელმაც შემდეგი ილაპარაკა: ახალ მართებლობას უნდა მხარი დავუჭიროთ და ყოველ ღონისძიებით გავამაგროთ მისი მდგომარეობაო. გამოცხადებულია თავისუფლება — განაგრძო ორატორმა, მაგრამ მარტო სამოქალაქო თავისუფლებით არ ამოიწურება იდეა თავისუფლებისა. თუ რევოლიუციამ აღფრიალა დროშა თავისუფლებისა, აუცილებელია აღდგენა ყველა მოსპობილ უფლებისა. ამ მხრივ უბედურ მდგომარეობაში იყო საქართველო. რაში გამოიხატება მისი უფლება? საქართველო თავისუფალი სახელმწიფო იყო, როცა შეეკრა რუსეთს ხელშეკრულებით 1783 წ. ამ ხელშეკრულების ძალით რუსეთმა იკისრა დაცვა საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრებისა. მისი მფარველობა მოდიოდა მხოლოდ საქართველოის საზღვრებამდე და ნება არა ჰქონდა გადაელახა მისი საზღვრები. მაშასადამე, საქართველო იყო მოკავშირე რუსეთისა და თავის შინაგან საქმეში სრულებით თავისუფალი უნდა ყოფილიყო. ხელშეკრულებაში მოხსენებულია მეფე. ჩვენთვის მეფე კი არ არის საყურადღებო, არამედ ის სახელმწიფოებრივი უფლება, რომლითაც აღჭურვილი იყო იმ დროებაში მეფე. იმას ჰქონდა სრული უფლება კანონმდებლობისა, გამგეობისა და სამართლისა. მაშასადამე, კანონმდებლობა, გამგეობა და სამართლის წარმოება ეხლა უნდა გადაეცეს საქართველოს ერს და ყოველივე ეს აშენებულ უნდა იქმნეს ფართო დემოკრატიულ პრინციპებზე. მოკლედ რომ ვსთქვათ, საქართველოს უნდა მიენიჭოს მის ისტორიულ საზღვრებში სრული ავტონომიური თვითმართველობა. აი რა პოლიტიკური უფლებებია განსაზღვრული ამ ცნობილ ხელშეკრულებაში. ჩვენ უნდა შევიგნოთ ჩვენი უფლება და მოვიკრიბოთ ყოველი ძალ-ღონე მის განსახორციელებლად. იგი არის უდიდესი პირობა განვითარების და წინ მსვლელობისა. მომენტი და წმინდა მოვალეობა მოითხოვს დავივიწყოთ ყოველი პირადი თუ წოდებრივი ინტერესები, დავივიწყოთ პროგრამული სხვა და სხვაობა და შევერთდეთ ტერიტორიალურ ავტონომიის მოსაპოვებლად“.

ორატორი ხანგრძლივი ტაშისცემით დააჯილდოვა კრებამ.

ამის შემდეგ კათედრა დაიჭირა ბ-მა იოს. მჭავარიანმა. ორატორმა შემდეგი წარმოსთქვა:

გილოცავთ, ქართველებო, საქართველოს თავისუფლების გათენებას!

დაემხო ის სკვითური რუსეთის მთავრობა, რომლის მონობის კირთებ ქვეშ 117 წელიწადია დრტვინავს ჩვენი სამშობლო!

მოისპო ის ვერაგული სისტემა მტარვალის ბრძანებლობისა, რომელიც ცინიკურ ხარხარით და მუხანათურის, ბილწის ფესვით შხამავდა ქართველის სულს, ანადგურებდა მის მიწა-წყალს და აწიოკებდა მის ქონებას!

მტარვალის ბრუნვა ულმა არ დაინდო პატარა კახის მეგობრობა: მან შემუსრა ტაძარი წმინდა ნინოსი, დასთხარა თვალები დავით აღმაშენებლის ღვთის მშობელს, გასთელა ფეხით ქარ-

თველის თავ-მოყვარეობა და ნახევრად გადაგვარებულს, გაძარცულს საქართველოს მიუსია მეზობლები, რათა სამოლოოდ აღმოეფხვრა იგი!

მაგრამ ცხოველ არს ქართველის სული, უკვდავია საქართველო!

ბევრი მტარვალი ამხედრებულა ცეცხლითა და მახვილით მის გასანადგურებლად, ბევრნი სახელმწიფონი შემოსევიან მას, რომ დედა მიწის პირიდან აღეგავათ, მაგრამ მტარვალნი თვით დაღუპულან, სახელმწიფონი დანგრეულან, საქართველო კი მის ნანგრევთა შორის, ვით ფენიქსი, განახლებულა!

ხოლო არ უნდა დავივიწყოთ, ქართველნო, რომ ჩვენი სამშობლო განახლებას და აღდგენას შესძლებს მაშინ, თუ მარცხიძე გაფოლადებულ ენერგიით აერთიანებს და აკავშირებს საქართველოს, თუ ორბელიძე აგროვებს და რაზმავს ქართველ მეომრებს, თუ ანანია გლახა მთის არწივებით მგლურის ნაბიჯით მიისწრაფის მეტეხისაკენ და თუ საბა ბერს მზათ აქვს ჯვარი „ალდგომის“ მოსალოცათ!

ასეთი მუშაობა დაწყებულია და ეხლა ცეცხლის ალივით უნდა მოედვას მთელ ქართველ ერს ანთებული სურვილი თავისუფლებისა, გაჩაღდეს შეუპოვარი, ხელშეწყობილი, შეკავშირებული მუშაობა ყველა ჩვენს ქვეყანაში მომქმედ პარტიებისა, რათა ასხივოსნდეს ჩირაღდანი საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობისა საქართველოს ისტორიულ საზღვრებში!

ვაშა იმ ქართველს, რომელიც ამ განკითხვის დღეს, დროზე, შეგნებულად და ღირსეულად გაშლის ეროვნულ დემოკრატიულ დროშას და მიესალმება საქართველოს თავისუფლებას!

ამას ელიან მამადავითიდან წამომდგარნი აჩრდილნი სამშობლოს მწუხრის ზეწარში გახვეულ ილიასი და თამარ-ერეკლიანნი, მაგრამ უკვდავ იმედის სხივით გაცისკროვნებულ აკაკისა! მათი აჩრდილნი თავს დაგვდგომიან და გვეჩურჩულებიან: „არ შეგვარცხვინოთ შვილნო!“

მაშ, შევერთდეთ, ქართველებო, და ერთხმად დავიძახოთ: გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

სიტყვამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე და ხანგრძლივის ტაშისცემით დააჯილდოვეს ორატორი.

შემდეგ ილაპარაკა ბ-ნმა შ. ქარუმიძემ, რომლის სიტყვა მეტად მგრძნობიარე იყო და დიდი აღტაცება გამოიწვია ხალხში.

გამოტანილ იქმნა რეზოლიუციები, რომლებსაც ხვალ დავბეჭდავთ.

## სურსათ-სანოვაგის გარშემო

თელავიდან მიღებული დეპეშა, რომელიც ამ ორი დღის წინად დაიბეჭდა, გვაუწყებდა თელავსა და თელავის მაზრაში მარტო ორი დღის სამყოფი პური არისო და ხალხს საშინელი სიმშილი მოელისო. ამ მდგომარეობას მთელი მხარე საგონებელში ჩაუგდია და დაუყოვნებლივ შეუდგომია ორგანიზაციების მოწყობას და პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმას. 7 მარტს აურიცხელ ხალხს თავი მოუყრია საჯარო მიტინგზე და თათბირი გაუმართავს, თუ როგორ უნდა მოევლოთ მდგომარეობისათვის, თუ როგორ დაეღწიათ თავი სიმშილისათვის. მიტინგზე აურჩევიათ ორი პირი ბ-ნი ლევან გოგნიაშვილი და ბ-ნი ბაგრატ იელდოვი, აღუჭურვიათ სათანადო რწმუნებით და დაუვალებიათ სურსათის მოგვარების საქმე. ამის შემდეგ კახეთის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას და თელავის ქალაქის თვითმართველობას სათანადო თანხები და შესაფერი რწმუნების ქაღალდები გადაუციათ დასახელებულ ორ პირისათვის. დღეს ამათ რამდენიმე ასი ათასი მანეთი აქვთ სურსათის შესაძენად. თელავსა და თელავის მაზრაში ყოველდღე საჭიროა 4 ვაგონი ფქვილი. ორივე წარმომადგენელი დღეს თბილისშია. სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი ელიავა რა თქმა უნდა ყოველ დახმარებას გაუწევს, რომ დამშეულ პროვინციას პური მიაწოდოს.

## ახალი მთავრობა

(იხ. „საქართველოს“ კვირის სურათებიანი დამატება)

**გ. ე. ლვოვი.** მეტად სახელოვანი და ფართო მასაში კარგად ცნობილი პიროვნებაა. განსაკუთრებულის ენერგიით მუშაობდა ერობათა კავშირში. შეუდარებელი მუშაკია. მისი მოღვაწეობა დააფასა ხალხმა და ლაშქარმა, მის გულში მუდამ ლვივის საზოგადოების ალღოქმა წმინდა მოქალაქეობისა. კერძოდ მას მოსკოვიც კარგად იცნობს. ლვოვი მოსკოვში პროგრესიულმა ნაწილმა საპასუხისმგებლო ადგილზე აირჩია ქალაქის მოურავად მაშინ, როდესაც ბიუროკრატიასა და ხალხს შორის ბრძოლა სწარმოებდა, მაგრამ მთავრობამ არ დაამტკიცა. ყველას აერთებს ლვოვის სახელი, როგორც უფრო ცნობილი და ავტორიტეტიული. იგია სიმბოლო ახალ თავისუფალ მშრომელ რუსეთისა.

**პ. ნ. მილიუკოვი** აგზნებული პატრიოტია. შტიურმერს, გამყიდველ შტიურმერს, საბრალმდებლო სკამზე უნდა დაესვა და სიკვდილით დაესაჯნა, იმიტომ, რომ მან პირველად და თავგამოდებით გამოაშკარავა სათათბიროში საიდუმლო მუშაობა გერმანელებთან რუსეთის გასაყიდად. მაგრამ ბედი უკუღმა შემოტრიალდა. მან სამართლიანად დაიჭირა თავის შესაფერი ადგილი და ხალხის მტრები თვითონ დასხა სამსჯავროს წინაშე. სახელოვანი ორატორია და ბელადი რუსეთში ერთ-ერთ სახელმოხვეჭილ და გავლენიან პარტიისა. ბევრჯელ განიზრახეს მისი მოკვლა, მაგრამ საბედნიეროდ რუსეთისა, ბნელმა ძალამ ვერა გააწყო-რა. დიდი მცოდნე იყო ძველ მთავრობის პოლიტიკისა და ხრიკებისა და მუდამ კრიჭაში ედგა. მას იცნობენ საზღვარ გარედ გამოჩენილნი პოლიტიკურნი მოღვაწენი.

**ა. თ. კერენსკი** მინისტრებში ყველაზე ახალგაზრდაა, სულ 36 წლისა. ტაშკენტში გაათავა გიმნაზია, ხოლო პეტროგრადში იურიდიული ფაკულტეტი. ვექილის სარბიელზე მალე გაითქვა სახელი. რთულ პოლიტიკურ პროცესებში თამამად და გაბედულად გამოდიოდა და მშვენიერის ენით იცავდა ბრალდებულთ. მშრომელთა ჯგუფს ეკუთვნოდა. სათათბიროს დავალებით იგი იძიებდა ლენის ქარხნის მუშების დახოცვის საქმეს. მის ხელში არის ყველა ძველ მთავრობის მიერ დაპატიმრებულთა გამოძიება და საქმეები.

**ნ. ვ. ნეკრასოვი** პროფესორია ტომსკის სატეხნოლოგიო ინსტიტუტისა. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო 1905 წელს და აქედან გაითქვა სახელი. ცნობილია, როგორც ენერგიული მუშაკი სრულიად რუსეთის საერობო და საქალაქო კავშირების მთავარ კომიტეტში. დამაარსებელია „ზემგორისა“. 40 წლისაა.

**ა. ი. კონოვალოვი.** პოლიტიკურსა და საზოგადოებრივს რუსეთში მას იცნობენ, როგორც პროგრესისტს და ვაჭრობა-მრეწველობის განათლებულ მცოდნესა. დეპუტატად არჩეულია კოსტრომის გუბერნიიდან. სუხომლინოვის ღალატის შემდეგ იგი მილიუკოვთან ერთად აწესრიგებდა ქარხნებს ჯარის მისაშველებლათ. ბოლო დროს, როცა ძველი მთავრობა რუსეთს დაღუპვისკენ მიაქანებდა, იგი გადაეღობა წინ და მშრომელი ხალხი დარაზმა. ვაჭრობა-მრეწველობის სფეროში მას კარგად იცნობენ და დიდი სახელიცა აქვს და მას კარგად შეუძლიან მწყობრად მოაწყოს ყველა ქარხნის საქმე, რაიც ამ ბოლო დროს მეტად საჭიროა ახალ რუსეთის გამარჯვებისთვის.

(დასასრული იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი **ხარლამ ზაზრიაშვილი**


კნეინა ნადეჟდა დიმიტრის ასული ანდრონიკაშვილისა შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 17 მარტს, გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარის

# ანეტას

საავადმყოფო გემზე „პორტუგალ“-ზე დაღუპულის, სულის მოსახსენებლად, მერაბის საფლავზე, სოფ. ქოდალოში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (1—570—1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

**სამშაბათს, 14 მარტს,**

# სინემატოგრაფი
# სიმებიანი ორკესტრი

**სტუმრები საზოგადო წესით. — დასაწყისი საღამოს 9 საათზე.** (1—612—1)

## მოსკოვის სახალხო ბანკი

მოსკოვის სახალხო ბანკის რწმუნებული აცხადებს კოოპერატივებისა და საზოგადო დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ რაც ბანკს თბილისში

## ზაგიამანი ჰქონდა, სულ გაიყიდა;

ამიტომ მეტის დაკვეთა აღარ შეიძლება და აფრთხილებს აღნიშნულ დაწესებულებათ ფული დასაბევებლად აღარ გამოგზავნონ. (2—569—1)

## 1917 წ. მიიღებ ხელის მოწერა

**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**

# „ნაკადულ“-ზე

**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

**24** წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3 მ.** გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

**ფოსტისთვის:** Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2. დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.** (291—17)

ექიმი კბილისა

## ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

**იღებს ავადმყოფებს:** დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. **ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის** კუთხე № 20.

ექიმი

## მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

## ივანე თიკანაძე

**დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.** მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18. ტელეფონი № 11—82.

ექიმი

## გ. მ. მუხაძე

**იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ** საღამოს 5-6 ს. -მდე, კვირა დღეს გარდა **მისამართი:** დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეზე, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

**პროვიზორის ახვლედიანისა**

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი

## ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

**მოსკოვის საქალაქო საავადმყოფოს** ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

**ტრამვაის „914“ და „606“ შეჩერება**

ექიმი

## ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საზები და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. **მისამართი:** პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი

## მ. ი. მაჩხაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზუბოვსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი

## მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. **მისამართი:** ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

დოსტაქარი ...

## კალანდარიშვილი

... ბავშვთა, შინაგან და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს იღებს ... ოლღას ქ. № 3.


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.18 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, | 6.24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |


# საზურთალოზე
## ადგილების მყიდველთა საყურადღებოდ

**შევუდექით „დიდ წავენახარის“** (საგაბაშვილო თხინვალის აგარაკში") **სამოსახლოების დამტკიცებას.**

ვსთხოვთ უმორჩილესად ადგილების მყიდველთ, მობრძანდნენ 27 ამა თებერვლიდან, წარმოადგინონ მათზე დარჩენილი ფულები სრულად თბილისის სამეურნეო ბანკში და დაიმტკიცონ თვისი დაბევებული ადგილები.

ჩვენ მიერ მიცემული **ბარათები ფულის მიღებისა** აგრეთვე ბანკიდგან მიღებული **უსათუოთ თან უნდა მოიტანონ**—საბოლოვო ანგარიშის გასასწორებლად.

გადილების დამტკიცება გასტანს—ამავე წლის მარტის 30 რიცხვამდინ.

**ვინც ამ ხნის განმავლობაში არ დაიმტკიცებს ადგილებს** და არ გაასწორებს ანგარიშს, **შემდეგ უფლება დაეკარგება მამულის დამტკიცებაზედაც** და საყვედურის თქმაზედაც.

პატივისცემით {
**იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძე.**
**ხევასტი მიქელას ძე გაჩეჩილაძე.**
**ივანე ზაალის ძე ხვანიშვილი.**
}

(10—539—7)

თევზის მრეწველნი
# ძმ. ძიძიგურები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ძისით**, საამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „**მუშოხნი**“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიასა მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯი და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული უცხოეთური კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

უპირველესი, რადიკალური და სწრაფი
მასთან იაფი საშუალება

# სიფილისს,

სახსრების ავადმყოფობას, სახსრებისა და კუნთების ქრონიკულ რევმატიზმის, ნეკრესის ქარებს, საერთო გადამდებ ავადმყოფობას, ლითონებით მოწამლულს, თვალის ავადმყოფობას, სიფილისის წყლულებს, წითელას, ხერხემლის გამოფიტვას, დამბლას და სხვას **საჩქაროდ კურნავს** საქვეყნოდ ცნობილი შეუცვლელი სამკურნალო საშუალება **პროფესორ როშის**

# იოდასტარინი

ნუ შეცვლით სხვა პატენტოვან საშუალებებში. პროფესორ როშის პრეპარატი წმინდა საექიმო საშუალებაა, გასინჯულია საუკეთესო ევროპიულ კლინიკებში და სანატორიებში კურსების ფასი 32 მანეთი, ½ 16 მანეთი ¼ 8 მანეთი, ყოველი მილი 4 მანეთი და 50 კ. ღირს. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთი მანეთის ბეს მიღების შემდეგ. ვისაც რაიმე მოლაპარაკება და პრეპარატის შეკვეთა სურთ, მიმართეთ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიას.

**თბილისი, ლორის მელიქოვის ქუჩა, № 16—6—4. სახელმწიფო ბანკის** ახლოს.

Тифлисское Отдѣленіе Парижской фармацевтической Лабораторіи, Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—4. **противъ** Государственнаго банка.

# ქარებს (რევმატიზმის),
# ნეკრესის
# თირკმელების (ჭაჭების)

და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „**უროდონალ**“, და მაზი წასასმელი „**ატრო**“, სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი „**ურონალისა**“ ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი „**ურონალი**“ და ოთხი კოლოფი მაზი „**ატრო**“. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ბეს შემდეგ.

დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.

**თბილისი, ლორის მელიქოვის ქ. № 16: გან. 6—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.**

Тифлисское Отдѣленіе Парижской-фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Мемиковская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.

# სუსუნატით (გონორეა) ავადმყოფებს,

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „**რეზუროლინი**“, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე მუშტისას, ბისას და სხვ.

# რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

# იმიტომ, რომ,

**ჯერ ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.**

**მეორედ,** იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.

**მაგრამ ყველა ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს** უებარი „**რეზუროლინი**“. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ

# „რეზუროლინი“

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. მთლად მოსარჩენათ ახალი ავადმყოფისა ღირს 21 მანეთი და ძველებულისა 35 მან. 50 კ. მთელი წამლობა შეადგენს ორ საშუალებისაგან სხვა. ქვეყნებში იგზავნება 5 მანეთის ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.**

**За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1, напротивъ Государственнаго Банка.**


სტამბა „ეკონომია“ ა. კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4